

**სადოქტორო სწავლების დაფინანსება საქართველოში
[პოლიტიკის დოკუმენტი]**

**მარინე ჩიტაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა CSS-ის პროექტის “ამერიკული მოდელის სადოქტორო განათლების განვითარება საქართველოში” აშშ საელჩოს კურსდამთავრებულთა საგრანტო პროგრამის დაფინანსებით

2004 წლის 21 დეკემბერს მიღებულმა კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ ერთბაშად შეცვალა საბჭოთა კავშირის დროიდან მომდინარე აკადემიური ხარისხების სისტემა და შემოიტანა განათლების სამსაფეხურიანი სისტემა [ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურა]. ამ ცვლილების ძირითადი პოლიტიკური მიზანი იყო ქვეყნის ევროინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა ყველა მიმართულებით. უმაღლეს განათლებაში ეს იყო ბოლონიის პროცესი. საქართველო 2005 წლის მაისში ბერგენის კონფერენციაზე მიიღეს ბოლონიის პროცესის წევრად. რეფორმატორულ ტალღაზე მოსული მთავრობის პოლიტიკური მიზანი მიღწეული იყო. ბოლონიის პროცესში გაერთიანებამ პოზიტიური განვითარება ჰპოვა უმაღლესი განათლების მოდერნიზაციაში და განსაკუთრებით, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. თუმცა უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში დღემდე პრობლემატურია და მას მხოლოდ პოლიტიკური მიზნების შესაბამისი აქტივობები ვერ აუმჯობესებს. ეს განსაკუთრებით ეხება სადოქტორო სწავლების საფეხურს.

სადოქტორო საფეხურის სწავლების შემოღებას, როგორც ყველა ცვლილებასა და რეფორმას, თან სდევდა წინააღმდეგობა.

2004 წელს ახალმიღებულმა კანონმა სადოქტორო სწავლების საფეხურის განხორციელება და ხარისხის მინიჭება გადასცა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს და მიღწევად რეჟიმში გადაიყვანა აკადემიის კვლევით ინსტიტუტებში მოქმედი ასპირანტურისა თუ დაცვის საბჭოების უფლებამოსილება. ახალი კანონი მთავრდებოდა გარდამავალი დებულებებით, რომელიც ასპირანტურის დასწრებული თუ დაუსწრებელი სტუდენტებისა და მაძიებლებისათვის აწესებდა გარდამავალ პერიოდს 2007 წლის ბოლომდე, როდესაც მათ ან უნდა დაემთავრებინათ დაწყებული სამუშაო და დაეცვათ დისერტაცია, ან უნდა გადასულიყვნენ ახალ სადოქტორო პროგრამებზე. ამ ახალ პროგრამებზე კი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) და /ან მისი ფაკულტეტი მათ ჩაუთვლიდა უკვე შესრულებულ სამუშაოს საკუთარი რეგულაციების მიხედვით, და/ან მათ უნდა თავიდან ჩაებარებინათ ახალ სადოქტორო პროგრამებზე და გაეკლოთ უკვე ახალი რეგულაციებით აწყობილი სადოქტორო სწავლების საფეხური. ახალი კანონში მითითებული იყო, რომ ახალი ტიპის სადოქტორო სწავლების დაფინანსება უნდა დაწყებულიყო სახელმწიფოს მიერ 2007 წლის დეკემბერიდან.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ასპირანტურა ანუ იგივე ტიპის ფორმაცია, რასაც სადოქტორო სწავლება წარმოადგენს, საბჭოურ მოდელში ფინანსდებოდა. დასწრებული

სწავლების ასპირანტებს¹ სამი წლის განმავლობაში ჰქონდათ სტიპენდია, რომელიც იყო 120 მანეთი თვეში, რაც დაახლოებით უტოლდებოდა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ხელფასის 50%.² ახალმა კანონმა გააუქმა რა ასპირანტურა, დაფინანსების გარეშე დატოვა დოქტორანტურა და ამით ფაქტობრივად, საფრთხის ქვეშ დააყენა ქვეყნის სამომავლო ინტელექტუალური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების საკითხი.

შედარებისათვის თუ გადავხედავთ ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნებს არსად არ არის, რომ სახელმწიფო არ აფინანსებდეს დოქტორანტურას მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც, განსაკუთრებით, კი მათ, ვინც მთლიან განაკვეთით არის დაკავებული.³

საქართველოში, ფაქტობრივად, დღემდე დოქტორანტურაში სწავლება ფინანსდება თავად დოქტორანტის მიერ.

სახელმწიფო დაფინანსების ერთდართ წყაროს წარმოადგენს საგრანტო სისტემა დოქტორანტებისათვის. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ადმინისტრირებას უწევს დოქტორანტების საგრანტო კონკურსს, რომელიც პირველად 2013 წელს გამოცხადდა. ფონდი გასცემს გრანტებს დოქტორანტებისათვის, რომელიც მოიცავს, როგორც სტიპენდიას [წელიწადში 10 500 ლარის ოდენობით], ასევე კვლევით თუ სამოგზაურო თანხებს [წელიწადში 11 500 ლარი; ჯამში წლიური 21 000 ლარი]. 2013 წლიდან დღემდე სულ 535 დოქტორანტი დაფინანსდა. მაქსიმალური რაოდენობა, რაც შეიძლება მიიღოს დოქტორანტმა არის 63 000 ლარი [სამი წელი], მინიმალური - 10 500 ლარი [ერთი სემესტრი].

საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტთა რაოდენობა წლიურად მერყეობს 3000-დან [ყველაზე დაბალი იყო 2013 წელს, სულ 3 213 დოქტორანტი] 4000-ზე მეტის ფარგლებში [ყველაზე დიდი რაოდენობა 2016 წელს, სულ 4076 დოქტორანტი].⁴ იმ წლის დაფინანსებული დოქტორანტების ყველაზე მაღალი პროცენტული რაოდენობა (2,3%) მათ საერთო რაოდენობასთან შეფარდებით იყო 2015 წელს. საშუალოდ ამ წლების განმავლობაში აქტიურ დოქტორანტთა რაოდენობიდან ჯამში სულ დაფინანსდა 1,82%. ეს კონკურსი შენარჩუნებულია დღემდე და წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დოქტორანტთა დაფინანსების ძირითად წყაროს. ყველა სხვა შემთხვევაში დოქტორანტი თავად იხდის სწავლების საფასურს.

სხვა სიტყვებით, სახელმწიფო კონკურსის წესით ყოველწლიურად მხოლოდ დოქტორანტთა დაახლოებით 2% აფინანსებს და ეს არის მისი კონტრიბუცია მეცნიერებისა და კვლევის განვითარების სქემაში.

¹ არსებობდა დაუსწრებელი ასპირანტურის ფორმა [დღევანდელი გავრცელებული პრაქტიკის Parttime PhD ანალოგი], რაც გულისხმობდა იმას, რომ ასპირანტი მუშაობს და აქვს შემოსავალი. დაუსწრებელი ასპირანტურის ხანგრძლივობა იყო 4 წელი. ასპირანტურის დასრულების შემდეგ გაიცემოდა სპეციალური მოწმობა/სერტიფიკატი სასწავლო და/ან კვლევითი ინსტიტუტის მიერ სადაც ეს ასპირანტურა არსებობდა ასპირანტის მიერ ასპირანტურის დასრულების შესახებ. სავალდებულო მინიმუმი ასთი ცნობისათვის იყო ყველა სასწავლო კურსის დაფარვა და სადისერტაციო ნაშრომის მინიმუმ 1/3 დასრულება. ეს შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა კომბინაცია არასრული დისერტაციის ნაწილების. გადაწყვეტილებას დაცვის მიმნიჭებელი ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილება ან სამეცნიერო/დაცვის საბჭო იღებდა.

² უმაღლესი კვალიფიკაცია სამეცნიერო ინსტიტუტებში. უმაღლეს სასწავლებლებში იგივე ხელფასი ჰქონდა მასწავლებელს [სწავლებაში ჩართული პირი, რომელსაც არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი, მაგ. ლაბორატორიულებისა, პრაქტიკუმებისა და სამინარების წამყვანები].

³ Fulltime PhD.

⁴ საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემების მიხედვით <https://www.geostat.ge/ka>

რაც შეეხება დოქტორანტების მიერ სასწავლო საფასურის გადახდას, ის განსხვავებულია უსდ-ების მიხედვით, თუმცა აქ, იმის საჩვენებლად, თუ რა რაოდენობის თანხებია გენერირებული სწავლების გადასახადიდან, პირობითად შეგვიძლია გამოვთვალოთ, რომ 2020 წელს 4010 დოქტორანტის მიერ გადახდილი წლიური თანხა 9,022,500 ლარია.⁵

ცხადია გამონაკლისებიც არსებობს, როდესაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აფინანსებენ სადოქტორო სწავლებას. ეს მაშინ ხდება, თუ უსდ არის საერთაშორისო პროგრამა(-ებ)ში ჩართული სხვადასხვა პროექტების ფარგლებში და/ან სპეციალური საგრანტო დაფინანსება აქვთ მიღებული. ამის მაგალითებია, ფოლცვაგენისა და დაადის მიერ დაფინანსებული ერთობლივი სადოქტორო პროგრამები რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად, რომელიც ფუნქციონერებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აგრარულ უნივერსიტეტში. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტები უზრველყოფილნი არიან სტიპენდიით და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსებითაც, ასევე კონფერენციებში მონაწილეობის ან მცირე ხნით სხვა ქვეყანაში ბიბლიოთეკასა თუ კვლევით ცენტრში სამივლინებო თანხებითაც.

სადოქტორო პროგრამების ფინანსირებასთან დაკავშირებით მთელი რიგი მოსაზრებები, რომელიც შეჯამებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ გამოცემულ პოლიტიკის დოკუმენტში 'სადოქტორო პროგრამების კონცეფცია', ლიკა ღლონტის ავტორობით 2005 წელს, ახლაც ინარჩუნებს აქტუალობას, თუნდაც იმის გამო, რომ იქ მითითებული საკითხები, როგორცაა ფინანსების ნაკლებობა, კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტიზაცია, უნივერსიტეტების მიერ ბიზნესსა და წარმოებასთან კავშირების გაფართოება და ა.შ., კვლავ დღის წესრიგშია. ხოლო მითითება იმის შესახებ, რომ კვლევისათვის მწირი დანახარჯების ფონზე კვლევებისა და განვითარების სპეციალური სტრატეგიის შემუშავება იქნება საჭირო, კვლავაც სამომავლოდ არის გადადებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პრემიერთან არსებული კვლევებისა და ინვოაციების საბჭოსა და უსდ-ების მიერ.

2007 წლის ბოლოდან სადოქტორო სწავლების გადმოტანამ უსდ-ებში სრულად ქაოტური გახადა სადოქტორო პროგრამების რაოდენობა და სწავლების ხარისხთან დაკავშირებული რიგი საკითხები წამოჭრა. 2011 წლიდან იწყება სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია, უსდ-ებმა ისწავლეს ზედმეტი ამბიციების კონტროლი და სადოქტორო პროგრამების რაოდენობა შემცირდა ადამიანური რესურსებისა და მოთხოვნილი სავალდებულო კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეუძლებლობის გამო. სადოქტორო სწავლება მხოლოდ კვლევით უნივერსიტეტებშია შესაძლებელი და ამ უნივერსიტეტების საერთო რაოდენობა საქართველოში 32-ია. იმისათვის, რომ სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღოს, უსდ-მ უნდა გადაიხადოს 12, 138 ლარი ან 15, 215 ლარი იმის მიხედვით უსდ დედაქალაქშია, თუ ექსპერტების მივლინებას საჭიროებს. სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციისას მოწმდება აქვს თუ არა უსდ-ს საკმარისი მატერიალური და ფინანსური რესურსი პროგრამის განსახორციელებლად. თუმცა, არსად არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რა ადგილი ეთმობა დოქტორანტების დაფინანსების საკითხს, როგორ აისახება ეს სადოქტორო სწავლების დროულად დასრულებაზე და დისერტაციების ხარისხზე და ა.შ.

⁵ რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს არ გაუცია არცერთი გრანტი დოქტორანტებისათვის 2020 წელს. საშუალოდ აღებულია წლიური გადასახადი 2250 ლარი და გამრავლებულია დოქტორანტების რაოდენობაზე. ცხადია ეს თანხა ზუსტი არ არის მაგრამ კარგ წარმოდგენას გვიქმნის სახელმწიფოს მიერ გაწეულ ინვესტირებისა [0 ლარი] და შემოსავლების თანაფარდობაზე სადოქტორო სწავლების სფეროში.

რომ შევაჯამოთ ამჟამინდელი სიტუაცია სადოქტორო პროგრამების დაფინანსების წყაროების შესახებ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადად ეს არის თავად დოქტორანტის მიერ თვითდაფინანსებული სწავლების საფეხური (97%), მხოლოდ 2% სარგებლობს სახელმწიფოს მხრიდან დოქტორანტურის სასწავლო-კვლევითი გრანტებით და 1%-ზე ნაკლებია ჩართული საერთაშორისო პროგრამებში, რომელიც დონორების მიერაა დაფინანსებული და შესაბამისად, უზრუნველყოფილია დოქტორანტის ფინანსური მხარდაჭერა.

საინტერესოა ისიც, რომ არსად არ წერია რა შედის დოქტორანტის მიერ გადახდილ საფასურში. ამას ვერ ნახავთ ვერც უსდ მიერ დოქტორანტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ დოქტორანტის მიერ გადახდილი საფასური ფარავს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სასწავლო კურსებს და კვლევით კოლოკვიუმებისთვის აკადემიური პერსონალის მიერ გაწეულ საქმიანობას, ასევე დაცვისა და რეცენზირების, ან პუბლიკაციის ხარჯებს. თუმცა, რეალურად, ასეთ გადანაწილებას აქვს თუ არა ადგილი საჯარო ან კერძო უსდ-ებში, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, აკრედიტაციის შეფასებაში ეს კომპონენტი არ არის გათვალისწინებული. საკუთარი გამოცდილებიდან ის შემიძლია ვთქვა, რომ მიწვეულ სუპერვიზორს ერთ-ერთი უსდ უნაზღაურებს მცირე ჰონორარს. საჯარო უსდ-ებში ასეთი პრაქტიკა არ არის. აქ მხოლოდ იმის ხაზგასმა მინდა, რომ დოქტორანტების მიერ გადახდილი საფასურით რას აკეთებს უსდ, რით ემსახურება და რა სერვისს სთავაზობს დოქტორანტებს, არ არის გამჭვირვალე და გასაგები. უსდ არ აქვს ანგარიშვალდებულება, რომ სადმე წარმოადგინოს ეს ხარჯები, თუნდაც თვითშეფასების ანგარიშში.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სადოქტორო სწავლების თვითდაფინანსების ძირითად წყაროდ არსებობის პირობებში, ცვლილებები განსახორციელებელია უმაღლესი განათლების მართვის სხვადასხვა დონეზე. ასეთ შემთხვევაში ამოსავალი პრინციპი იქნება ის, რომ მოხდეს არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენება და დოქტორანტებისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უსდ-ს რესურსებსა თუ შეთავაზებულ სერვისებზე მათი აკადემიური მოსწრების მიხედვით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეებს შეგვიძლია შევთავაზოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- ✚ უმაღლესი განათლების კანონში ცვლილება და დოქტორანტების დაფინანსების სქემის განსაზღვრა. ეს შეიძლება იყოს გრანტი, რომლის ადმინისტრირებასაც განხორციელებს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ან გადაეცემა უნივერსიტეტებს განხორციელებული და მიმდინარე კვლევებისა და პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით [KPI - key performance indicators].

ეს არ არის მუქდებელი, რადგან დღეს საუბარია უნივერსიტეტებისთვის დაფინანსების მოდელის ცვლილებაზე და ასეთ შემთხვევაში კვლევითი უნივერსიტეტების და მათი კვლევების დაფინანსება ავტომატურ რეჟიმში გულისხმობს დოქტორანტების დაფინანსებასაც.

- ✚ უმაღლესი განათლების კანონში ცვლილება, რომელიც დაუშვებდა უმაღლესის შემდგომი განათლების საფეხურის შემოღებას ე.წ. postgraduate studies და უსდ-ს მისცემდა საშუალებას მოეხდინა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ერთგვარი შერეული მოდელით განხორციელება ისევე, როგორც ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკული და ნაწილობრივ ბრიტანული მოდელიც იძლევა საშუალებას, რომ უმაღლესის შემდგომი განათლების საფეხურზე შეიქმნას ერთიანი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც სამაგისტრო ხარისხის მიღება და

კონკრეტული კვალიფიკაცია, ასევე მუშაობის გაგრძელება კვლევითი მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში სადოქტორო სკოლების ფარგლებში გაერთიანდება კვლევითი მაგისტრატურის პროგრამები, რომლებიც 120 კრედიტის ფარგლებში დაფარავენ სასწავლო კურსებს და სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები იქნება ფაქტობრივად სადოქტორო პროექტის მოთხოვნების იდენტური. პროფესიული სამაგისტრო პროგრამები შეიძლება ცალკე ფუნქციონირებდეს ან სტუდენტს შეეძლოს მობილობა ერთი პროგრამიდან მეორეზე.

- ✚ ამჟამად მოქმედი უმაღლესი განათლების კანონში უსდ-ს მიერ სადოქტორო პროგრამების გახსნის პირობების განსაზღვრა, მათ შორის ფინანსების გამოყოფა სადოქტორო სწავლებისათვის.

ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით, ახალი პროგრამის გასახსნელად საჭიროა მისი აკრედიტაცია. ეს სრული ნონსენსია, რადგან როგორც სადოქტორო პროგრამის მუშაობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც სადოქტორო პროგრამას უყოლება კურსდამთავრებული. შესაბამისად, უსდ-მ, რომელსაც აქვს კვლევითი უნივერსიტეტის სტატუსი, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია განათლების ხარისხის ცენტრს ახალი პროგრამის შესახებ და ავტომატურ რეჟიმში მიიღოს ავტორიზაცია მის განსახორციელებლად და მოითხოვოს მისი აკრედიტაცია ფუნქციონირების დაწყებიდან მხოლოდ მინიმუმ 3 ან 4-5 წლის შემდეგ.

- ✚ განათლების კანონში შევიდეს ცვლილება და დაშვებული იყოს როგორც სრული [full-time], ასევე ნაწილობრივი [part-time] სადოქტორო პროგრამები, რომლებიც სადოქტორო პროგრამებს მეტ მოქნილობას მისცემს და მოიზიდავს უკვე დასაქმებულ ადამიანებს. ასევე მათ, ვისაც კარიერული წინსვლა ან ცვლილება სურთ, საშუალებას მისცემს დროში გადაანაწილონ პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო ხარისხის მიღება.

- ✚ კანონში შევიდეს ცვლილება და დაშვებულ იქნეს პროფესიული და ინდუსტრიული სადოქტორო პროგრამები, მაგალითად, განათლების დოქტორი [EdD], ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი [DBA], ფსიქოლოგიის დოქტორი [PsyD] და ა.შ.

ეს ეხმიანება წინა ცვლილებასაც და ქმნის წინაპირობას, რომ სადოქტორო პროგრამაზე მოვიდეს ის ადამიანი, რომელსაც სრულიად კონკრეტული კვლევის გაკეთების საფუძველზე შეუძლია მიიღოს ხარისხი და გაიდრმავოს ცოდნა მისთვის სასურველი მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ინდუსტრიასთან ურთიერთობა, რომელიც ფაქტობრივად რეალურ დაკვეთას მისცემს უნივერსიტეტს კონკრეტული სპეციალისტის მომზადებაზე, ხოლო დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება არა დოქტორანტის, არამედ ინდუსტრიის ხარჯზე. ინდუსტრიული სადოქტორო პროგრამები ასევე ავითარებს უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის ზოგად თანამშრომლობას და ზრდის უსდ-ს კვლევისა და ინოვაციების პოტენციალს.

- ✚ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ზუსტი კრიტერიუმების დაწესება რას უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევები და რომელი მიმდინარე კვლევის ფარგლებში არსებობს სადოქტორო პროგრამა.

ფაქტობრივად, ეს არის სამეცნიერო კვლევის პროფილზე და მიმდინარე სამეცნიერო პროექტზე მიბმული სადოქტორო პროგრამა, რომელიც პირდაპირ

რთავს დოქტორანტს უკვე არსებულ ინფრასტრუქტურაში. ასეთი შესაძლებლობა ნაწილობრივ მაინც აფინანსებს დოქტორანტს, რადგან მას აძლევს პროექტში ან მიმდინარე კვლევაში მონაწილეობის საშუალებას და უნაზღაურებს მას შრომას. ცხადია, ასეთი კვლევები შეიძლება დაფინანსებული იყოს როგორც გარე წყაროებით, ასევე უსდ-ს მიერაც.

✚ უსდ-ს ბიუჯეტში უნდა არსებობდეს ცალკე გამოყოფილი კვლევითი საქმიანობის ბიუჯეტი და რეგულაციები, თუ როგორ უნდა დაფინანსდეს სადოქტორო პროგრამები.

ასე მაგალითად, ფინეთი ყოველწლიურად არ აფინანსებს სადოქტორო პროგრამას, არამედ აფინანსებს 5 წლით და იგივე პროგრამის გაშორება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება მიმდინარე ციკლი. ასეთ შემთხვევაში უსდ-ს შესწევს ძალა თუნდაც მცირე რესურსებით შეინარჩუნოს სადოქტორო სწავლება და დააფინანსოს დოქტორანტები ნაწილობრივ მაინც.